ადამიანური კაპიტალის მიზნების (Human Capital Program)

2024 წლის 9 თვის შესრულების ანგარიში

ადამიანური კაპიტალის პროგრამის განხორციელების მიზნით 2022 წელს გაფორმდა ორი ხელშეკრულება:

- ✓ საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის 2022 წლის 30 მარტს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას ,,საქართველოს ადამიანური კაპიტალის პროგრამა", რომლის ფარგლებშიც IBRD-მა საქართველოს გამოუყო 358,5 მლნ ევროს ოდენობის ფინანსური რესურსი სესხის სახით.
- ✓ საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა და საქართველოს შორის 2022 წლის 15 ნოემბერს ხელი მოეწერა **საკრედიტო რესურსის ჩარჩო** შეთანხმებას 100,0 მლნ ევროს საფინანსო რესურსის გამოყოფის თაობაზე.

პროგრამისთვის მსოფლიო ბანკი პირველად იყენებს დაფინანსების „შედეგზე ორიენტირებული პროგრამის" ე.წ. PforR (Program for Results) ინსტრუმენტს, რაც გულისხმობს, რომ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დანერგვა და მონიტორინგი მთლიანად დაეყრდნობა საჯარო მმართველობაში არსებულ ინსტიტუტებსა და სისტემებს.

პროექტის განხორციელების კოორდინირებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო ოთხი ძირითადი მიმართულებით დაგეგმილი შედეგებისა და ინდიკატორების მიღწევას განახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები.

პროგრამის შემოთავაზებული ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიმართულებით დაგეგმილი რეფორმები განხორციელდეს ქვეყანაში არსებული მართვის ინსტრუმენტებით და დაფინანსდეს არსებული საბიუჯეტო პროცესის ფარგლებში, ხოლო შედეგების მიღწევის შესაბამისად, თანხები ჩამოირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. თითოეული ღონისძიების შესრულებისთვის წინასწარ განსაზღვრულია ჩამოსარიცხი თანხის ოდენობა.

პროგრამის მიზანია, საქართველოში ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებული სისტემები და სერვისები გახდეს უფრო ეფექტური და ინკლუზიური და მოიცავს განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სექტორებს.

პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებები ***ოთხი ძირითადი მიზნის მიღწევას*** ემსახურება:

1. განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დანახარჯების ეფექტიანობის გაუმჯობესება შესაბამისი ადმინისტრაციული და ფინანსური მექანიზმების დამტკიცებისა და განხორციელების მეშვეობით (მათ შორის, ზოგადი

განათლების დაფინანსების ახალი მოდელი, ჯანდაცვის მართვის კუთხით DRG (Diagnosis Related Group) სისტემის დანერგვა, სოციალურად დაუცველთა სისტემის მოდელისა და ფორმულის განახლება);

2. სერვისების მიმწოდებელ დაწესებულებებში არსებული სერვისებისთვის შესაბამისი ხარისხის სტანდარტის დამტკიცება და განხორციელება (მათ შორისაა: ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე ოპერირება, უმაღლეს სასწავლებლებში მიღების ახალი სისტემის დანერგვა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და ზოგადი განათლების ხარისხის სტანდარტის შესაბამისი ოპერირება; სხვადასხვა ნოზოლოგიებთან მიმართებაში კლინიკური პროტოკოლების დანერგვა და სხვა);

3. სოციალური დაცვის სერვისებში ღარიბი და მოწყვლადი ადამიანების ჩართულობის ზრდა;

4. ციფრული სერვისების განვითარება განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემების მიმართულებით (მათ შორის, სასკოლო ციფრული სამოქმედო გეგმების, პირველადი ჯანდაცვის ელექტრონული სისტემების, ასევე დისტანციური სამედიცინო სისტემების დანერგვა; სოციალური დაცვის სერვისებს/პროგრამებს შორის ინტეგრაციის გაუმჯობესება).

ცხრილი N1 - ადამიანური კაპიტალის მიზნების შესრულება

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (27 01 01) სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (27 01 04)	ადამიანური კაპიტალის მიზნები: N1.5.1 (სოციალური); N1.5.2 (სოციალური);	ადამიანური კაპიტალის პროგრამის N1.5.1 და N1.5.2 მიზნების ფარგლებში განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ტესირების რეჟიმში, ახალი მეთოდოლოგიისა და დეკლარაციის ახალი ფორმის მეშვეობით. ადამიანური კაპიტალის პროგრამის N1.5.2 მიზნის ფარგლებში გაგრძელდა მუშაობა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში განაცხადის ელექტრონული ვერსიის შექმნაზე. დასრულდა სპეციალური ფორმის დოკუმენტის - „ოჯახის დეკლარაციის“ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა, რათა ეთნიკური უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე მოხდეს ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების პროცესის წარმართვა.	მიმდინარეობს მუშაობა 1.5.2-ის შესრულების მიზნით	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის ა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (27 01 01) სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (27 01 04)	ადამიანური კაპიტალის მიზანი N1.6 (სოციალური დაცვა)	სამინისტროს ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო (ITA) აგრძელებს მუშაობას სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზებთან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის დაკავშირებაზე (მათ შორის გარდაცვალება, პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსება, უძრავი ქონება, საზღვრის კვეთა, კომუნალური გადასახადები, რეგისტრირებული ავტომანქანები, დაქირავებით დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ოჯახის წევრთა განათლების მიღწეული დონე, სს „კრედიტინფოს“ მონაცემები, მინიმალური შემოსავალის დასადგენად, ინფორმაცია საზღვარგარეთიდან გზავნილების თაობაზე) და შესაბამისი სარეიტინგო ქულის გამოანგარიშებაზე.	მიმდინარეობს მუშაობა 1.6-ის შესრულების მიზნით	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის ა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა (27 01 08)	ადამიანური კაპიტალის მიზანი N2.4 (დასაქმება)	***DLR 2.4-ის ფარგლებში,*** მსოფლიო ბანკის ინფორმაციის თანახმად, მათ მიერ დაქირავებული, ადგილობრივი ექსპერტი აგრძელებს ქართულ ელექტრონულ პლატფორმებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზს, რათა იდენტიფიცირდეს ქართულ რეალობაში პროფესიების და უნარების ურთიერთკავშირი. პარალელურად სააგენტოს აქტიური კომუნიკაცია აქვს ETF-თან, ESCO-ს ადაპტაციასთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით. სააგენტომ დისტანციურად მიიღო მონაწილეობა მათ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე: „ESCO 1.2 Global Language for Skills“, სადაც მონაწილე ქვეყნებმა გააზიარეს ESCO კლასიფიკატორის თარგმნასთან და ადაპტირებასთან დაკავშირებული გამოცდილება, ასევე დასაქმების საჯარო სამსახურების მიერ ESCO-ს გამოყენების პრაქტიკები. შეხვედრაზე, ETF-ის წარმომადგენელმა მონაწილეებს გააცნო Big Data for labour market intelligence“ მონაცემების პლატფორმა Global Solutions Workbench (lightcast.io), სადაც წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, დასაქმების ელექტრონულ პლატფორმებზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ანალიზი, მონაცემები დამუშავებულია ESCO-ს კლასიფიკატორის მიხედვით. აღნიშნული ვებგვერდი, ასევე დაეხმარება სააგენტოს პროფესიების და უნარების კავშირების პოვნაში და მათი ESCO-ს კლასიფიკატორის მიხედვით გაანალიზებაში. გრძელდება ETF-თან მუშაობა საიტზე გამოქვეყნებული და ასევე დაუმუშავებელი მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებით. უნარების ტაქსონომიისა და მოთხოვნადი უნარების პროგნოზირების მიმართულებით ქვეყნაში არსებული გამოცდილების და მიმდინარე პროცესების იდენტიფიცირების მიზნით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტომ შეხვედრები გამართა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და პროფესიული უნარების სააგენტოსთან.	გრძელდება მუშაობა	სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		შეხვედრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: • საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ახორციელებს უნარების პროგნოზირებას რაოდენობრივი (მათემატიკური მოდელის) მეთოდის საფუძველზე, თუმცა კვლევის შედეგების ვალიდაციისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს ქვეყანაში ისტორიული მონაცემების (მწკრივების) არ არსებობა; • პროფესიული უნარების სააგენტო გარკვეული პროფესიებთან მიმართებით ამზადებს უნარების ტაქსონომიას, თუმცა არა ყველა პროფესიისთვის. შესაბამისად, სააგენტო აგრძელებს მუშაობას ეროვნული უნარების ტაქსონომიისა და მოთხოვნადი უნარების პროგნოზირების თვისებრივი მეთოდოლოგიის შემუშავების კუთხით. ამ მიზნით სააგენტო აქტიურად სწავლობს პარტნიორი და მეზობელი ქვეყნების, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებას, როგორიცაა პოლონეთი და ესტონეთი: • 18 ივლისს, პოლონეთის დასაქმების სააგენტოსთან გაიმართა შეხვედრა პროფესიული ბარომეტრის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს პროფესიების მოკლევადიანი (ერთწლიანი) პროგნოზირების მეთოდოლოგიას; განიხილეს როგორ მუშაობს მეთოდოლოგია, რა მახასიათებლები აქვს და როგორია კვლევის პროცესი. • 16 სექტემბერს, სააგენტოს წარმომადგენელი დაესწრო ETF-ის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას, ესტონეთის უნარების პროგნოზირების თვისებრივ მეთოდოლოგიასთან - OSKA-სთან დაკავშირებით, სადაც წარმოადგინეს დეტალური ინფორმაცია კვლევის სტრუქტურასა და მის შედეგებთან დაკავშირებით.		
ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების	ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.4	მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაქირავებული უცხოელი ექსპერტის დახმარებით სააგენტოს მიერ ხორციელდება სისტემის მშენებლობის პროცესის შეფასება და ვალიდაცია.	გრძელდება მუშაობა	სსიპ - ინფორმაციული

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
განვითარება და მართვა (27 01 10)	(სოციალური); N3.3.1 (დასაქმება)	საანგარიშო პერიოდში შეიქმნა სამუშაოს მაძიებლისა და დამსაქმებლის მოდულები; შემუშავდა სამუშაოს მაძიებლების და დამსაქმებლის ავტომატურად დაკავშირების ფუნქციონალის ლოგიკა/მოთხოვნები. მომზადდა შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის პირველი ეტაპის დანერგვის გეგმა. გრძელდება მუშაობა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა მოდულებზე.		ტექნოლოგიების სააგენტო
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (27 01 01) ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (27 01 09) ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარება და მართვა (27 01 10)	ადამიანური კაპიტალის მიზნები N1.2.1 (ჯანდაცვა); N1.2.2 (ჯანდაცვა); N1.3 (ჯანდაცვა); N1.4 (ჯანდაცვა); N2.2 (ჯანდაცვა) N2.3 (ჯანდაცვა) N4.2 (ჯანდაცვა); N4.3 (ჯანდაცვა);	***ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზნები N1.2.1 და N1.2.2*** (რომელიც გულისხმობს დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) დაფინანსების მოდელის ფუნქციონირებას), 2023 წლიდან სრულად ამოქმედდა სამედიცინო სერვისების ანაზღაურების ახალი მექანიზმი დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების მეთოდოლოგიის შესაბამისად, 26 ძირითადი დიაგნოსტიკური კატეგორიისთვის (MDC). DRG შემთხვევების ანალიზის შედეგების მიხედვით საანგარიშგებო პერიოდში განხორციელდა ზოგიერთი DRG-ს ღირებულებათა წონების ცვლილება. 2024 წლის სექტემბერში შეიცვალა ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურების გაწევის ანაზღაურების წესი. პირველ 60 დღეში გაწეული მომსახურება ფინანსდება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების დაფინანსების (DRG) მეთოდით, ხოლო შემდეგ სტაციონარში ხანგრძლივი დროთ დაყოვნების/ქრონიკული მოვლის ტარიფის შესაბამისად. გამონაკლისს წარმოადგენს DRG087 - ფილტვების შეშუპება და სუნთქვის უკმარისობა, როდესაც ჰოსპიტალიზაციიდან პირველ 25 დღეში გაწეული სამედიცინო მომსახურება ფინანსდება დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების (DRG) მექანიზმით, ხოლო 26-ე დღიდან 65-ე დღის ჩათვლით ინტენსიური მოვლა დამატებით ანაზღაურდება საწოლ-დღის რეგრესული ტარიფით. ***ადამიანური კაპიტალის პროგრამის N1.3*** (მიმწოდებლებთან მართული შესვლის შეთანხმების დანერგვა) პირველი სამიზნე	შესრულებულია ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზანი 1.2.1; 1.2.2; 1.3; (პირველი სამიზნე მაჩვენებელი); 2.2	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; ა(ა)იპ - საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (27 03) სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (27 04 01)		მაჩვენებლის ფარგლებში, 2023 წელს F. Hoffmann-La Roche-სა და Novartis-თან გაფორმდა ხელშეკრულებები. სულ მართული შესვლის შეთანხმების მექანიზმებით შესყიდულია 4 დასახელების მედიკამენტი (შესყიდულის 100%), რომლებიც ხელმისაწვდომია 2024 წლის I კვარტლიდან. „წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 11 პუნქტის, 12 პუნქტისა და 38-ე მუხლის 2 4 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა „ფარმაცევტული პროდუქტის ფასის სახელმწიფო რეგულირების მეთოდოლოგია, წესი და პირობები და ფარმაცევტული პროდუქტის მართული შესვლის შეთანხმებით შესყიდვის წესი (N294, 10.09.2024), რომლის თანახმად, პატენტით დაცული ძვირადღირებული ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტებისთვის, სადაც გარე რეფერენტული ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია არარელევანტურია, სახელმწიფო იყენებს პროდუქტის ბაზარზე მართული შესვლის შეთანხმების (Managed Entry Agreement, MEA) მექანიზმს. აღნიშნული განსაზღვრავს მართული შესვლის შეთანხმებას, როგორც ინოვაციური ორიგინალური ფარმაცევტული პროდუქტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მექანიზმს და სახელმწიფოს მიერ ფარმაცევტული პროდუქტის მწარმოებელთან ან სავაჭრო ლიცენზიის მფლობელთან პირდაპირი მოლაპარაკების გზით, სპეციალური პირობებით შესყიდვის (დაფარვის/ანაზღაურების) ფორმას, რომელიც ითვალისწინებს ინოვაციური მედიკამენტების ეფექტიანობასთან, დანერგვასთან დაკავშირებული რისკების შემცირებას, კლინიკური შედეგების გაუმჯობესებას და/ან ბიუჯეტზე გავლენის შეზღუდვას. ***ადამიანური კაპიტალის პროგრამის N1.4 მიზნის*** (რეფერენტული ფასების ამოქმედება, შესრულდა 2023 წელს) ფარგლებში შეიქმნა ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო ფასების რეგულირების უწყებათაშორისი კომიტეტი, სხვადასხვა სამინისტროების და სამედიცინო უნივერსიტეტების წარმომადგენლების, დარგის		ეროვნული ცენტრი; სსიპ - ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტო; სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტო

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		ექსპერტების ჩართულობით. უზრუნველყოფილია არაკომერციული დასახელების (INN)-ის ქვეშ საცნობარო ფასების გამოქვეყნება კატალოგის სახით 2023 წლის 15 იანვრიდან სპეციალურ ბმულზე - RP.moh.gov.ge. 2024 წლის სექტემბრის მდგომარეობით, საცნობარო ფასების კატალოგი აერთიანებს ფასებს 7101 სამკურნალწამლო საშუალებას 298 INN-ის ქვეშ. ***ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზანი N2.2-ის*** ფარგლებში (ამბულატორიულ დონეზე სამართავი კლინიკური მდგომარეობებისთვის გზამკვლევები – clinical care pathways) შემუშავებულია და დამტკიცებულია ჰიპერტენზიის, დიაბეტისა და გულის უკმარისობის, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებების, ბრონქული ასთმის, ფსიქიკური ჯანმრთელობის მართვის 19 კლინიკური გზამკვლევი, მათ შორის, 2024 წლის 6 თვეში დამტკიცდა კლინიკური გზამკვლევები: 1. ფსიქოაქტიური ნივთიერებებით განპირობებული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების გამოვლენა, შეფასება და მართვა პირველად ჯანდაცვაში - დაავადების მართვის კლინიკური გზამკვლევის დამტკიცების თაობაზე (მინისტრის 2024 წლის 7 თებერვლის N MOH 3 24 00000034 ბრძანება) 2. „ბიპოლარული აშლილობების მართვა“ (მინისტრის 2024 წლის 13 თებერვლის N MOH 7 24 00000038 ბრძანება); 3. ,,პირველად და სპეციალიზებულ ჯანდაცვის სერვისებში დეპრესიული აშლილობების მართვა" (მინისტრის 2024 წლის 13 თებერვლის N MOH 7 24 00000038 ბრძანება); 4. ,,ფსიქოზი და შიზოფრენია მოზრდილებში” (მინისტრის 2024 წლის 13 თებერვლის N MOH 7 24 00000038 ბრძანება); 5. „დემენცია“ (მინისტრის 2024 წლის 13 თებერვლის N MOH 7 24 00000038 ბრძანება) 6. „გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“ - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი) და „გულსისხლძარღვთა		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		დაავადებების (გსდ) რისკის შეფასება და მართვა“ - დაავადებათა მართვის კლინიკური გზამკვლევი (მინისტრის 2024 წლის 6 მარტის N MOH MOH 0 24 00000077ბრძანება). ივლისი-სექტემბრის პერიოდში მომზადდა 3 კლინიკური გზამკვლევი და ამჟამად მიმდინარეობს მათი დამტკიცების პროცედურები: • ბიპოლარული აშლილობის მართვა მოზარდებში პირველადი ჯანდაცვის დონეზე; • მოზარდების უნიპოლარული დეპრესიის მართვა პირველად ჯანდაცვაში; • ზრდასრულებში გენერალიზებული შფოთვითი აშლილობის მართვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე. ***ადამიანური კაპიტალის პროგრამის N2.3 მიზნის*** (პირველადი ჯანდაცვის სერვისების პაკეტის გადასინჯვა და შედეგზე ორიენტირებული ანაზღაურების მეთოდების დანერგვა) ფარგლებში, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით მომზადდა ჯანდაცვის სისტემის რეფორმების გზამკვლევი, რომელმაც გაიარა საჯარო კონსულტაციების ეტაპი და პროფესიული ასოციაციებისაგან და ექსპერტებისაგან მიღებული წინადადებები და რეკომენდაციები აისახა აღნიშნულ გზამკვლევში. გზამკვლევით განსაზღვრული ღონისძიებების დანერგვისთვის, 2023 წლის დეკემბერში ცვლილება შევიდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში. 2024 წლის 1 მარტიდან, (ქ.თბილისის, ქ.ბათუმის და ქ.ქუთაისის თვითმმართველი ქალაქებთან ერთად, გეგმური ამბულატორიის კომპონენტში კაპიტაციური მეთოდით დაფინანსების მიმღებია დაწესებულება, რომელსაც, 2024 წლის 29 თებერვლის მდგომარეობით, რეგისტრირებული ჰყავს 2,500 და მეტი ბენეფიციარი (ძირითადი კონტინგენტი), უზრუნველყოფს პროგრამის გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებულ კლინიკო-ლაბორატორიულ კვლევებს ადგილზე და/ან ახორციელებს ბიოლოგიური მასალის		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		ნიმუშების აღებას/ჩაბარებას და სხვა სათანადო დაწესებულებაში ტრანსპორტირებას, ასევე პასუხების უკან დაბრუნებას. გამონაკლისს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში სერვისის ერთადერთი მიმწოდებლები; იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო ცენტრები; სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის (მათ შორის გეოგრაფიული) გათვალისწინებით, სამედიცინო დაწესებულებები, რომელთა ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტით. 2024 წლის თებერვალში მომზადდა და დამტკიცდა: ა) საყოველთაო ჯანდაცვის გეგმიური ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებსა და სოფლად ოჯახის ექიმის ქვეკომპონენტის სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებებში რეგისტრირებული სამიზნე კონტინგენტის პრევენციული და სკრინინგული სერვისებით უზრუნველყოფის წესი; ბ) პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში რეგისტრირებული ბენეფიციარების რეგისტრაციის ფორმა; გ) მიზნობრივი კონტინგენტის C ჰეპატიტის სკრინინგით, კიბოს სკრინინგით და ვაქცინაციით მოცვის წლიური გეგმა-გრაფიკის ფორმა; დ) პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებაში და/ან სოფლად ოჯახის ექიმის სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ გეგმა-გრაფიკის მიხედვით ყოველთვიურად გაწეული მომსახურების ანგარიშგების ფორმა; ე) C ჰეპატიტზე სკრინინგში ჩასართავ ბენეფიციარებთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო; ვ) კიბოს სკრინინგში ჩასართავ ბენეფიციარებთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო; ზ) იმუნიზაციაში ჩასართავი ბენეფიციარების მშობლებთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2024 წლის 26 მარტის NMOH 5 24 00000063 ბრძანება)		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის და ბათუმის შემოგარენში სოფლად მცხოვრები მოსახლეობა სპეციალისტთა კონსულტაციასა და კლინიკურ-დიაგნოსტიკურ კვლევებს მიიღებენ შპს „ბათუმის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოსა“ და შპს „რუხის რესპუბლიკური საავადმყოფოში“. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით მიმდინარეობს შედეგზე დაფუძნებული ანაზღაურების მეთოდის დანერგვისთვის ინდიკატორების ნაკრების შერჩევა და მათ პასპორტების მომზადება. ***ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზანი 4.2*** (პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებლების EHR მოდულთან წვდომის უზრუნველყოფა და პჯდ დაწესებულებების 80%-ის ჩართვა EHR სისტემაში) წარმატებით მიმდინარეობს. გრძელდება პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიმწოდებელთა ჩართვა EHR მოდულში. ჩანაწერების ატვირთვა ხდება პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებელთა 79%-ის მიერ. საანგარიშგებო პერიოდში EHR სისტემაში მონაცემების წარდგენის 24,335,040 შემთხვევა ფიქსირდება, მათ შორის დაფიქსირებულია გეგმიური და გადაუდებელი ამბულატორიული 15,739,883 შემთხვევა. აღსანიშნავია, რომ მოცემული ჩანაწერები წარდგენილია 1672 ამბულატორიული სერვისის განმხორციელებელი დაწესებულების მიერ, რომლებიც ახორციელებენ პირველადი ჯანდაცვის მომსახურებას, აქედან 329 ერთეულს გააჩნია მხოლოდ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულების სტატუსი,რომელთაგან დაფიქსირებული ჩანაწერების რაოდენობაა 5,285,067. ჩეხეთის კარიტასის ტექნიკური მხარდაჭერით მომზადდა საინფორმაციო სისტემა, რომელიც საშუალებას იძლევა პაციენტის მოძრაობა სისტემაში სრულად იყოს ასახული და უზრუნველყოფილი იყოს შედეგზე დაფუძნებული დაფინანსებისთვის ე.წ. დეშბორდების სისტემა.		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზანი 4.3-ის (პირველადი ჯანდაცვის მიმწოდებლების მიერ ტელემედიცინის ფარგლებში კონსულტაციების ხელშეწყობა) 2024 წლის I კვარტალი მთლიანად დაეთმო ტელემედიცინის სერვისების მიწოდების მონიტორინგს და მუდმივ გაუმჯობესებას. პირველ კვარტალში დაფიქსირდა 300-მდე ტელეკონსულტაცია, მეორე კვარტალში - 330, ხოლო მე-3 კვარტალში კი 298, სულ 2022 წლის შემოდგომიდან ჩატარდა 4000-ზე მეტი ტელეკონსულტაცია. ევროკავშირის პროექტის ფარგლებში სექტემბერში დასრულდა კიდევ 60 სოფლის ამბულატორიისთვის აღჭურვილობის შესყიდვა და მიმდინარეობს პჯდ ამბულატორიებში ინსტალაციის პროცედურები.		
შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (27 05)	ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.1.1 (დასაქმება); ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.1.2. (დასაქმება); ადამიანური კაპიტალის მიზნები N3.2 (დასაქმება);	***პროგრამის მიზანი N3.1.1.-ის*** ფარგლებში გათვალისწინებული გეგმის შესრულების მიზნით, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო აქტიურად აგრძელებს მუშაობას რეგიონულ სერვის-ცენტრების გახსნასთან დაკავშირებით 3 რეგიონში: სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი და ქვემო ქართლი. მოძიებულია ახალი საოფისე ფართები, გარემოსდაცვითი და სოციალური აუდიტის მოთხოვნების შესაბამისად. აქტიურად მიმდინარეობს ოფისების სრულად აღჭურვა ინფრასტრუქტურული სტანდარტის შესაბამისად და ადამიანური რესურსით დაკომპლექტება, რათა დაკმაყოფილდეს საჭირო სპეციალისტების რაოდენობის მინიმალური სტანდარტი. თითოეულ რეგიონს საკუთრებაში ყავს ერთი მანქანა. ***მიზანი 3.1.2-ის*** ფარგლებში, სოფლად მაცხოვრებლებისთვის, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისებსა და პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სააგენტოს მობილური ჯგუფები აგრძელებენ ინტენსიურ შეხვედრებს მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობასთან.	მიმდინარეობს მუშაობა ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზანი 3.1.1-ს და #3.2.-ის მეორე სამიზნე მაჩვენებლის მისაღწევად.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტო;

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		მიზნის ფარგლებში, სააგენტო, სოფლად მაცხოვრებელს მომსახურებას აწვდის მობილური ჯგუფების და ასევე მუნიციპალურ დონეზე სააგენტოს წარმომადგენლების მეშვეობით. 2024 წლის ცხრა თვის განმავლობაში 1,022-მა (მათ შორის 720 ქალი) სოფლად მაცხოვრებელმა მიიღო სააგენტოს მომსახურება, მათ შორის: • 418 (მათ შორის 294 ქალი) არის სოფლად მცხოვრები სამუშაოს მაძიებელი, რომელმაც პროაქტიულად მიმართა სააგენტოს წარმომადგენლობას და მომსახურება მიიღო მუნიციპალურ დონეზე შემდეგ მუნიციპალიტეტებში: სამტრედია, ხარაგაული, ჩოხატაური, სიღნაღი, ხელვაჩაური. აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში კონსულტანტები დასაქმებული არიან სრულ განაკვეთზე, სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფისში და სამუშაოს მაძიებლებს აწვდის სააგენტოს მომსახურებების სრულ სპექტრს; • 604 (მათ შორის 426 ქალი) პირი არის ის სამუშაოს მაძიებელი, რომლებიც ესწრებოდნენ მობილური ჯგუფის შეხვედრებს და მობილური ჯგუფების მეშვეობით მიიღეს ინდივიდუალური და სხვა სახის კონსულტაცია. საანგარიშო პერიოდში, მობილური ჯგუფების მიერ ჯამში ჩატარებულია 139 შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა 2,651 სამუშაოს მაძიებელი. ***პროგრამის მიზანი #3.2-ის*** (მოწყვლადი ჯგუფების ჩართვა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ღონისძიებებში) ფარგლებში 7,194 მოწყვლად ჯგუფს მიკუთვნებული სამუშაოს მაძიებელი ჩაერთო შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის ღონისძიებებში, მათ შორის: ახალგაზრდა - 2,205, ქალი - 5,476, დევნილი - 567, შშმპ - 816, სოციალურად დაუცველი - 3,333. სააგენტო აქტიურად მუშაობს მოწყვლად ჯგუფებში, დასაქმების ხელშეწყობის სერვისებსა და პროგრამებზე ცნობადობის გაზრდის		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		მიზნით მართავს შეხვედრებს ახალგაზრდებთან უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში, ასევე აქტიურად თანამშრომლობს შშმ პირებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. საანგარიშო პერიოდში, მოწყვლადი ჯგუფის მობილიზების მიზნით, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: დუშეთის ახალგაზრდულ ცენტრთან თანამშრომლობით, დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ახალგაზრდებთან გაიმართა საინფორმაციო, გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. ღონისძიების ფარგლებში, უმაღლესი განათლების მიღმა დარჩენილ ახალგაზრდებს ჩაუტარდათ დასაქმებისა და კარიერულ დაგეგმვის კონსულტაცია. ახალგაზრდები გაეცნენ დასაქმებისა და პროფესიული სწავლების მიმართულებით არსებულ შესაძლებლობებს. საინფორმაციო შეხვედრა და მასტერკლასი ჩატარდა ახალგაზრდებთან ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შეხვედრის ფარგლებში ახალგაზრდებს მიეწოდათ ინფორმაცია დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ, გაეწიათ კონსულტაცია დასაქმებასთან დაკავშირებით; გაიმართა კარიერის დაგეგმვის მასტერკლასი. გორის მერიასთან და საზოგადოება ,,ბილიკთან'' ერთად გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა შშმ პირებისთვის. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა შშმ პირთა სერვისებისა და პროგრამების პოპულარიზაცია, გორის რეგიონში შშმ პირთა რეგისტრაცია და მათი დასაქმების პროგრამებში ჩართვა. ასვე, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინირებული მუშაობა შშმ თემთან დაკავშირებულ საკითხებზე. საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა სამტრედიაში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში და საზოგადოებრივ კოლეჯ ,,სიო"-ში, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს სააგენტოს		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		პროგრამები და სერვისები; მიაწოდეს ინფორმაცია რეგიონში აქტიური ვაკანსიების შესახებ. სააგენტოს შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით, თბილისში, პროფესიულ კოლეჯ ,,იკაროსთან'' და პროფესიულ კოლეჯ ,,SBA''-სთან თანამშრომლობის ფარგლებში, შეხვედრა ჩატარდა კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. ადგილზე მათ მიიღეს ინფორმაცია დასაქმების სახელმწიფო სერვისებისა და პროგრამების შესახებ. სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ზუგდიდის აკადემიაში, შპს ცხუმ ეგრისის კოლეჯში და შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საინფორმაციო შეხვედრები ჩატარდა სტუდენტებთან მათზე მორგებული სააგენტოს პროგრამებისა და სერვისების გაცნობის მიზნით. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დაინტერესებული პირებმა გაიარეს კონსულტირება და დარეგისტრირდნენ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში.		
განათლებისა და მეცნიერების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01)	ადამიანური კაპიტალის მიზნები N2.1.1 (განათლება); N2.1.2 (განათლება); N2.1.6 (განათლება)	ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზანი 2.1.2-ის შესრულების მიზნით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შეირჩა საჯარო სკოლები, რომელიც 2024 წელს გაივლიან ავტორიზაციას. აღნიშნული სკოლებისათვის შედგა გეგმა-გრაფიკი, რომლის მიხედვითაც მიიღებენ მხარდაჭერას ახალი სტანდარტების შესაბამისად დაწყებული რეალური ადმინისტრაციული წარმოებების მიზნებისათვის განაცხადის წარმოდგენის (თვითშეფასების ნაწილში) და ავტორიზაციის პროცესში (შესაბამისობების გეგმების შემუშავება). ამ მიზნით, შეირჩნენ და გადამზადნენ მხარდაჭერისა და თვითშეფასების სპეციალისტები, რომლებიც ინდივიდუალურ მხარდაჭერას უწევენ საჯარო სკოლებს ავტორიზაციის მომზადების პროცესში. ამ ეტაპზე მხარდაჭერა გაეწია 123 საჯარო სკოლას, აქედან 120-მა საჯარო სკოლამ წარმოადგინა საავტორიზაციო განაცხადი სსიპ - განათლების	ადამიანური კაპიტალის პროგრამის მიზანი 2.1.1 შესრულებულია მიმდინარეობს მუშაობა მიზანი 2.1.2; 2.1.6 შესრულების მიზნით;	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; სსიპ - განათლების

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2024 წლის სექტემბრისთვის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული განაცხადებებიდან (მათ შორის 106 სკოლა ახორციელებს სამივე საფეხურის პროგრამას, ხოლო 14 სკოლა - დაწყებითი და საბაზისო საფეხურის პროგრამებს) ავტორიზაციის საბჭომ გამოსცა გადაწყვეტილება 58 საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების შესახებ (მათ შორის, 49 ახორციელებს სამივე საფეხურის პროგრამებს); 41 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი; 1 საჯარო სკოლას წარმოდგენილი აქვს ავტორიზაციის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი. შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, შემუშავდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის სამუშაო ვერსია, გაიმართა გაცნობითი შეხვედრები რესურსცენტრებისა და საჯარო სკოლების წარმომადგენლებთან. სასკოლო ქსელების კონცეფციის პილოტირების ეტაპზე, რესურსცენტრების ჩართულობით, ჩაერთვებიან საჯარო სკოლები, რომელთან 2023 წელს გაიარეს ავტორიზაცია და საჯარო სკოლები, რომელთაც 2024 წელს უწევთ ავტორიზაცია. ამ ეტაპზე ქსელში ჩართულია 100-ზე მეტი ავტორიზებული საჯარო სკოლა. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით მიმდინარეობს აქტივობები 360°-იანი თვითშეფასების პლატფორმის პილოტირების მიზნით. კერძოდ, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით განხორციელდა თვითშეფასების კითხვარის რევიზია, კითხვარი ჩამოყალიბდა საბოლოო სახით და ინტეგრირდა თვითშეფასების პლატფორმაზე. შეირჩნენ და გადამზადდნენ თვითშეფასების პილოტირების მხარდაჭერის სპეციალისტები და პლატფორმის პილოტირების პროცესში ჩაერთო 50 ავტორიზებული დაწესებულება (აქედან 47 საჯარო და 3 კერძო სკოლა). პილოტირების პროცესში გამოვლენილი საკითხების შესაბამისად გასწორდა პლატფორმის ტექნიკური ხარვეზი.		მართვის საინფორმაციო სისტემა; სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ჩარჩოს დანერგვის პროცესში ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით გაიმართა სამუშაო და გაცნობითი შეხვედრები საგანმანათლებლო რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, ავტორიზაციის საბჭოსთან და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტებთან; ავტორიზებული სკოლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ჩატარდა ხარისხის უზრუნველყოფის ტრენინგი ყველა იმ საჯარო სკოლებისთვის, ვინც 2023 წელს გაიარა ავტორიზაცია. დასრულდა 2023 წელს განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შედეგების ანალიზი და იდენტიფიცირდა ძირითადი მიმართულებები საჯარო სკოლების მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული მიმართულებები და 2023 წელს ავტორიზებული საჯარო სკოლების ინდივიდუალური საჭიროებები (ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები) გაზიარდა კოორდინაციის პლატფორმაზე; შეირჩა და მომზადდა 10 ანალიტიკოსი, რომლებმაც წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით განახორციელეს დაწესებულებების თვითშეფასებების ანალიზი. ანალიტიკის შედეგებზე დაყრდნობით მომზადდა და განალების, მეცნიერების და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა დაწესებულებების ავტორიზაციის განრიგის პროექტი; მომზადდა და ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა 2025 წლის ადმინისტრაციული წარმოებების წლიური გეგმა. მომზადდა დაწესებულებების მხარდაჭერის კონცეფცია. შეირჩა და გადამზადდა 10 მხარდაჭერის სპეციალისტი, რომლებმაც დაასრულეს სამუშო შეხვედრები/ტრენინგები ავტორიზაციის I სტანდარტთან დაკავშირებით შეირჩა და გადამზადდა მხარდაჭერის ოთხი სპეციალისტი, რომლებმაც დაასრულეს სამუშაო		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		შეხვედრების/ტრენინგების ჩატარება დაწესებულებებთან, ავტორიზაციის III სტანდარტთან დაკავშირებით მომზადდა „დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ასამოქმედებლად მეთოდოლოგიური პაკეტის მომზადების კონცეფცია“, რომლის საფუძველზეც მომზადდა შვიდი მარეგულირებელი წესის პროექტი (სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი; ბავშვების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი; საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი; კვების უზრუნველყოფის წესი; ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) წესი; კურიკულუმის შექმნა-შემუშავებისა და განვითარების წელი, ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი. დასრულდა მუშაობა შვიდ მარეგულირებელ დოკუმენტზე (სანიტარია-ჰიგიენის უზრუნველყოფის მექანიზმი, ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის მეთოდოლოგიური დოკუმენტი, კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია; ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის მეთოდოლოგია; ადამიანური რესურსების მართვის მეთოდოლოგია; პროცესების იდენტიფიცირებისა და მათი აღწერის მეთოდოლოგია; პერსონალის მართვის მეთოდოლოგია; სასწავლო პროცესების მარეგულირებელი მეთოდოლოგია). აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სიმულაციური ავტორიზაციის პროცესები. ჩატარდა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები ავტორიზაციის პროცესში ჩართული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. ტრენინგები განხორციელდა როგორც პირისპირ, ისე დისტანციური ფორმატით; განხორციელდა ექსპერტთა კორპუსის გაფართოება ოთხივე მიმართულების ექსპერტებით (ხარისხი, კვება, სანიტარია-ჰიგიენა, კურიკულუმი). ამ ეტაპზე ასევე მიმდინარეობს ექსპერტების		

პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი	ადამიანური კაპიტალის მიზანი/DLR	პროგრესის აღწერა	2024 წლის მაჩვენებლის პროგრესის სტატუსი	განმახორციელებელი
		შესარჩევი კონკურსი სამი მიმართულებით (ხარისხი, სანიტარია-ჰიგიენა და კვება).		
განათლებისა და მეცნიერების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (32 01) საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკით და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა (32 02 14 03)	ადამიანური კაპიტალის მიზანი N2.1.3 (განათლება); ადამიანური კაპიტალის მიზნები N4.1 (განათლება);	გამოცდების ეროვნული ცენტრი განახორციელებს სოფლისა და ქალაქის სკოლების კურსდამთავრებულების მიერ ეროვნულ გამოცდებზე მიღებული შედეგების ანალიზს (არსებული სხვაობის გაზომვა). განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ შეიმუშავა ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლად სკოლებს რემედიაციული პროგრამების განხორციელებაში. მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროგრამები სკოლებს დაეხმარება სასწავლო პროცესში გამოვლენილი პრობლემების, მათ შორის, მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენის აღმოფხვრაში. სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ საგანმანათლებლო რესურსცენტრებს ჩაუტარდათ ტრენინგი მათ სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლებისთვის ციფრული თვითშეფასების განხორციელებისა და ციფრული სამოქმედო გეგმის შემუშავების მიმართულებით კონსულტირების გაწევის თემაზე. სსიპ საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ სკოლების მეორე ნაკადს (170-ზე მეტ მოსწავლიანი სკოლების 35%-ზე მეტი - 279 სკოლა) გადაეცა ლეპტოპები და პრინტერები (13,611 ლეპტოპი; 546 პრინტერი). ამავე სკოლებისთვის გადასაცემი 13,423 პროექტორის შესყიდვის მიზნით გაფორმდა ხელშეკრულება და მოწოდების ბოლო ვადად განისაზღვრა მიმდინარე წლის 31 დეკემბერი.	გრძელდება მუშაობა ადამიანური კაპიტალის პროგრამის 2.1.3 მიზნის მისაღწევად გრძელდება მუშაობა ადამიანური კაპიტალის პროგრამის 4.1 მიზნის მისაღწევად	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;

ცხრილი N2 - ადამიანური კაპიტალის მიზნების ბიუჯეტის შესრულების მონაცემები /ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის წლის დაზუსტებული გეგმა	2024 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2024 წლის 9 თვის ფაქტობრივი ხარჯი	ადამიანური კაპიტალის პროგრამის 2024 წლის 9 თვის ფაქტობრივი ხარჯი	ადამიანური კაპიტალის პროგრამის კუმულატიური ფაქტობრივი ხარჯი (17.06.2022 - 30.09.2024)	მითითება DLR-ზე
32 01 03	განათლების ხარისხის განვითარება და მართვა	5,052.6	3,675.7	3,860.9	1,171.6	3,002.4	2.1.2; 2.1.6
32 02 14 03	საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკით და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვა	34,093.9	33,026.9	33,025.9	26,438.4	42,189.6	N4.1
27 01 01	ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	14,623.7	10,396.3	10,234.1	271.8	727.6	1.2.1; 1.2.2; 1.3; 1.4; 2.2; 2.3; 4.2
27 01 02	სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა	8,178.5	5,309.5	5,051.9	-	0.4	1.3; 1.4
27 01 04 01	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (აპარატი)	27,914.0	17,671.7	16,019.3	0.9	0.9	1.5.1
27 01 08	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა მართვა	1,700.0	573.6	525.7	33.9	133.8	3.1.1;3.1.2;3.2
27 01 09	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა	5,620.0	2,350.4	2,152.1	1,069.6	2,167.9	1.2.1; 1.2.2; 1.3
27 01 10	ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების განვითარება და მართვა	13,500.0	9,432.9	6,401.5	572.4	1,359.2	1.2.1; 1.2.2; 1.4; 4.2
27 02 02	მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება	1,519,000.0	1,129,832.5	1,128,449.6	-	198.4	1.5.1
27 03 01	მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა	1,034,078.8	952,935.3	952,885.1	606,412.0	1,240,261.4	1.2.1; 1.2.2 ; 2.3
27 03 03 06	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა	44,000.0	34,256.8	34,256.6	3,381.9	4,027.7	1.3
27 03 03 07	პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა	216,300.0	146,678.1	143,943.8	59.6	176.4	4.3

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის წლის დაზუსტებული გეგმა	2024 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა	2024 წლის 9 თვის ფაქტობრივი ხარჯი	ადამიანური კაპიტალის პროგრამის 2024 წლის 9 თვის ფაქტობრივი ხარჯი	ადამიანური კაპიტალის პროგრამის კუმულატიური ფაქტობრივი ხარჯი (17.06.2022 - 30.09.2024)	მითითება DLR-ზე
27 03 03 10	ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა	921.2	921.2	1,003.3	-	69.7	1.3; 1.4
27 04 01	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	36,395.0	14,952.6	12,234.8	32.4	32.4	1.4
27 05 01	დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება	1,000.0	691.5	684.7	534.4	1,158.3	3.1.1;3.1.2;3.2
27 05 03	სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება	5,300.0	2,118.0	2,103.4	2,080.6	6,683.7	3.1.1;3.2
27 05 04 01	საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მართვა	6,200.0	3,089.7	3,028.8	1,196.3	2,456.7	3.1.1;3.1.2;3.2

შენიშვნა: *დანართი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე*